

განმარტებითი ბარათი

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განაპირობა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტების მომზადებამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის სისტემაში გატარებული რეფორმების შედეგად იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები – სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურები გამოეყოფა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემას და ჩამოყალიბდება სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის სახით.

კანონპროექტის მიზანია აღნიშნული სამსახურის სისტემაში წამოტრილი საკითხების ნორმატიულ დონეზე რეგულირების საკითხის გადაწყვეტა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის სისტემაში გატარებული რეფორმების შედეგად იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები – სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურები გამოეყოფა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემას და ჩამოყალიბდება სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის სახით. ეს უკანასკნელი გახდება სასჯელაღსრულების სამსახურის და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის უფლებამოსიან ცენტრს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის თავმჯდომარისათვის ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილების მინიჭებით მიღწეულ იქნება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის ფუნქციონირების პროცესში წამოტრილი საკითხების ნორმატიულ დონეზე რეგულირების მიზანი – სამსახურის თავმჯდომარის ნორმატიული ხასიათის ბრძანებით დამტკიცდება სასჯელაღსრულების დაწესებულებების დებულება და შინაგანაწესი, განისაზღვრება სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე პატიმრის/მსჯავრდებულის გადაადგილების, აგრეთვე სასჯელაღსრულების დაწესებულების დროებითი დატოვების წესი და პირობები, პატიმრობის მოხდის წესი და სხვ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე
კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი
კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტის შემუშავების პროცესში წარმოებდა კონსულტაციები სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საპარლამენტო მდივნის სამსახური.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.